

წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

1. აკრძალულია დაწესებულების შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა, დაწესებულების ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლის მეთვალყურეობის გარეშე.
2. დაწესებულების პერსონალი და პროფესიული სტუდენტები კვრტალში ერთხელ გადიან ინსტრუქტაჟს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ.
3. დაწესებულების შენობაში განთავსებულია ხანძარჩამქრობი მოწყობილობა და საევაკუაციო გეგმა.
4. ევაკუაციის ნიშანის შემთხვევაში სახეზე მყოფი დაწესებულების თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.
5. დაცვის სამსახურის მოვალეობაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას დასესებულების ქონება და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა;
6. ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩაქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.
7. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:
 - 7.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
 - 7.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
 - 7.3. უაცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
8. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:
 - ა) შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
 - ბ) თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
 - გ) იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწეით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
5. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები
6. შშმპ პროფესიული სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.
7. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.



8. გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112
9. 112-ზე დარეკვა უფასოა
10. 112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.